USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №32
მაისი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ლიკა ჩხეტიანი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №32 ბიულეტენს, სადაც აღწერილია მაისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. ნიკა გვარამიას საქმე

16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „მთავარი არხის" გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას 3 წლისა და 6 თვის ვადით პატიმრობა მიუსაჯა.[1] მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ იგი დამნაშავედ ცნო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.[2] გადაწყვეტილების მიხედვით, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ს" მისი დირექტორობის პერიოდში გვარამიამ 7 მილიონამდე ლარის ზიანი მიაყენა და ტელეკომპანიის სარეკლამო დრო ძვირადღირებული ავტომანქანის მოსაპოვებლად გამოიყენა.[3] „მთავარი არხის" გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2019 წლის ზაფხულიდან იყო აღძრული.[4]

ნიკა გვარამია განაჩენის გამოცხადებისთანავე, სასამართლო სხდომის დარბაზში დააპატიმრეს.[5] მან თავი უდანაშაულოდ ცნო და დაპატიმრება კრიტიკული მედიის მიმართ პოლიტიკურ დევნას დაუკავშირა.[6] ბრალდებულის ადვოკატებმაც განაჩენი პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასეს და განაცხადეს, რომ საქმეს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებდნენ.[7]

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სახალხო დამცველმა შეაფასა.[8] მან საზოგადოებას 2019 წელს გვარამიას საქმესთან დაკავშირებით სასამართლოსთვის სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება შეახსენა.[9] ამ უკანასკნელის მიხედვით, „რუსთავი 2-ის" ყოფილი დირექტორის მიერ ჩადენილი ქმედების შინაარსი არათუ სისხლისსამართლებრივი, არამედ კორპორაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭი-

[1] „მოსამართლემ ნიკა გვარამიას პატიმრობა მიუსაჯა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31852346.html, განახლებულია: 10.06.2022.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლი.

[3] „რას ედავებოდნენ და რისთვის დააპატიმრეს ნიკა გვარამია - ოთხი ძირითადი პუნქტი", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31853434.html, განახლებულია: 10.06.2022.

[4] იქვე.

[5] „მოსამართლემ ნიკა გვარამიას პატიმრობა მიუსაჯა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31852346.html, განახლებულია: 10.06.2022.

[6] „სასამართლომ ნიკა გვარამიას 3.5 წლით პატიმრობა მიუსაჯა", საინფორმაციო პორტალი "Civil.ge", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/490298, განახლებულია: 10.06.2022.

[7] „ადვოკატები ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილ განაჩენს გაასაჩივრებენ", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31852485.html, განახლებულია: 10.06.2022.

[8] საქართველოს სახალხო დამცველის Facebook-გვერდი, 2022 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NIo8nE, განახლებულია: 10.6.2022.

[9] „სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ნიკა გვარამიას ბრალდების საქმეზე", საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2019 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xpZMlq, განახლებულია: 10.06.2022.

რო წინაპირობებსაც კი არ აკმაყოფილებდა.[10]

საიას შეფასებით,[11] გადაწყვეტილება შეიცავდა მრავალ სამართლებრივ ხარვეზს, მათ შორის, ეჭვს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და ზიანს აყენებდა კრიტიკული მედიის ფუნქციონირებას.[12]

ნიკა გვარამიას დაპატიმრება ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნიეს.[13] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ნიკა მელიამ განაცხადა, რომ ნიკა გვარამია „ქართული ოცნების" დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის „მსხვერპლი" გახდა.[14] პარტიამ „ლელო საქართველოსთვის" „მთავარი არხის" გენერალური დირექტორის დაპატიმრება ქვეყანაში „სამართლიანი სასამართლოს არარსებობისა" და „თავისუფალ მედიაზე ტოტალური კონტროლის" დამყარების მცდელობად დაახასიათა.[15] „სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერმა გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, რომ საქმე „მთლიანად პოლიტიკურად მოტივირებული" იყო.[16] „ევროპული საქართველოს" თავმჯდომარემ გიგა ბოკერიამ გვარამიას დაპატიმრება „ძალის დემონსტრირებად" შეაფასა.[17] „რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ კი გადაწყვეტილება „პოლიტიკური მართლმსაჯულებისა" და „პირადი ანგარიშსწორების" გამოვლინებად მიიჩნია.[18]

გადაწყვეტილებას კრიტიკული საერთაშორისო გამოხმაურებაც მოჰყვა.[19] აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრმა რესპუბლიკური პარტიიდან ჯიმ რიშმა „ტვიტერზე" დაწერა, რომ ნიკა გვარამიას პატიმრობა „პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდების" საფუძველზე მიუსაჯეს.[20] საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადების თანახმად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება „ეჭვქვეშ აყენებდა საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი".[21] საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩომ კი აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას დაპატიმრების გამო „იმედგაცრუებულნი" იყვნენ და საერთაშორისო პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს მაჩვენებლის „მნიშვნელოვნად" გაუარესებაზე მიუთითეს.[22]

ევროპარლამენტარმა მირიამ ლექსმანმა („ევროპის სახალხო პარტია", ქრისტიან-დემოკრატები) „რუსთავი 2-ის" ყოფილი დირექტორის დაპატიმრება „მედიის თავისუფლებაზე სერიოზულ დარტყმად" შეაფასა და აღნიშნა, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის განაცხადის განხილ-

---

[10] საქართველოს სახალხო დამცველის Facebook-გვერდი, 2022 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NIo8nE, განახლებულია: 10.06.2022.

[11] „ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილი განაჩენი უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებულია", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Q5ZxdQ, განახლებულია: 10.06.2022.

[12] იქვე.

[13] „პოლიტიკოსები ნიკა გვარამიას დაპატიმრებას ეხმიანებიან", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/490521, განახლებულია: 10.06.2022.

[14] იქვე.

[15] „ლელო საქართველოსთვის" Facebook-გვერდი, 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mzQVP6, განახლებულია: 10.06.2022.

[16] „მთავარი არხის" Facebook-გვერდი, 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/397QkRC, განახლებულია: 10.06.2022.

[17] „როგორ ეხმაურება ოპოზიცია ნიკა გვარამიას დაპატიმრებას", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31852719.html, განახლებულია: 10.06.2022.

[18] იქვე.

[19] „პოლიტიკური ოპონენტების გაჩუმების მცდელობა, თავდასხმა მედიის თავისუფლებაზე - პარტნიორების გამოხმაურებები გვარამიას საქმეზე", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31854546.html, განახლებულია: 10.06.2022.

[20] Senate Foreign Relations Committee Ranking Member, Twitter post, 2022 წლის 17 მაისი, 2:10 AM, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/SenateForeign/status/1526324232770166784, განახლებულია: 10.06.2022.

[21] „აშშ-ის საელჩო კანონის უზენაესობისადმი საქართველოს ერთგულებას „ეჭვქვეშ აყენებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/490467, განახლებულია: 10.06.2022.

[22] British Embassy Tbilisi-ის Facebook-გვერდი, 2022 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mARQPf, განახლებულია: 10.06.2022.

ვის ფონზე, ამ მოვლენის უგულებელყოფა ვერ მოხდებოდა.[23] 17 მაისს საქართველოს თემაზე მომუშავე წამყვანმა ევროპარლამენტარებმა[24] ერთობლივი განცხადება გაავრცელეს,[25] რომლის მიხედვით, გვარამიას საქმეში გამოტანილი განაჩენი „დაუსაბუთებელი მტკიცებულებების“ საფუძველზე იყო მიღებული და საქართველოში „კანონის უზენაესობის გაუარესების გაგრძელებას“ წარმოადგენდა.[26] ხელმომწერების აზრით, გადაწყვეტილება „საქართველოს ევროპულ მომავალს საფრთხეში აგდებდა“[27] და მის „რეპუტაციას გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა“.[28]

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია Amnesty International-ის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური მოტივაციით იყო ნაკარნახევი და „გამოხატვის თავისუფლების ჩახშობას“ ემსახურებოდა.[29] ორგანიზაციამ ნიკა გვარამიას დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.[30]

ამ განცხადებებს მმართველი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლებმა უპასუხეს. პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის დაპატიმრებასთან დაკავშირებით გამოხატული ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასებები „ისტერიულ კამპანიად“ დაახასიათა, რომელიც მართლმსაჯულების პოლიტიზებას ემსახურებოდა.[31] „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ნიკოლოზ სამხარაძემ კი აღნიშნა, რომ ამ საქმეზე ევროპარლამენტართა მოსაზრებები „მიკერძოებული“ იყო.[32] მისივე თმით, ევროპარლამენტარების უმრავლესობა „ქართული ოცნების“ ოპონენტებს მხარს ღიად უჭერდა.[33]

II. მიხეილ სააკაშვილის საქმე

27 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოქვეყნებული დასკვნის[34] მიხედვით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და რეაბილიტაციისთვის რეკომენდე-

[23] Miriam M. Lexmann, Twitter post, 2022 წლის 16 მაისი, 7:58 PM, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/MiriamMLex/status/1526230630316507137/photo/1, განახლებულია: 10.06.2022.

[24] მაიკლ გალერი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ანდრიუს კუბილიუსი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), სვენ მიკსერი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), რაფაელ გლუკსმანი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), ანა ფოტიგა (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), მარკეტა გრეგოროვა (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი), ვიოლა ფონ კრამონი (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი), პეტრას აუსტრევიციუსი (ევროპის განახლების ჯგუფი).

[25] „ევროპარლამენტარები: ნიკა გვარამიას დაპატიმრება „სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ მომავალს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/490835, განახლებულია: 10.06.2022.

[26] „Ungrounded verdict against director of critical media – Mr. Nikoloz Gvaramia”, ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://violavoncramon.eu/neuigkeiten/inhalt/gvaramia/, განახლებულია: 10.06.2022.

[27] იქვე.

[28] იქვე.

[29] „Georgia: Sentencing of pro-opposition media owner Nika Gvaramia a political motivated silencing of dissenting voice“, Amnesty International, Amnesty International-ის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xBS1Ac, განახლებულია: 10.06.2022.

[30] იქვე.

[31] „ირაკლი კობახიძე „ისტერიულ კამპანიას“ უწოდებს შეფასებებს გვარამიას საქმეზე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31854293.html, განახლებულია: 10.06.2022.

[32] „ქართული ოცნების“ დეპუტატის თქმით, გვარამიას საქმეზე ევროპარლამენტარების შეფასება „მიკერძოებულია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 19 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/491440, განახლებულია: 10.06.2022.

[33] იქვე.

[34] „სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა №6, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ“, სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xD9s3j, განახლებულია: 10.06.2022.

ბული იყო მკურნალობის სრულფასოვანი კურსის ჩატარება.[35] დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილის ოჯახი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მესამე პრეზიდენტისთვის საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით მის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას აქტიურად მოითხოვდნენ.[36] 2 მაისს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ „მტკნარი სიცრუე“ უწოდა მტკიცებას, რომ მიხეილ სააკაშვილს ადეკვატური სამედიცინო დახმარება არ მიეწოდებოდა.[37] 8 მაისს გავრცელებულ განცხადებაში სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა კი აღნიშნა, რომ მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური იყო და „პოლიტიკურად ანგაჟირებულ სუბიექტებს“ მოუწოდა, თავი შეეკავებინათ მისი „ჯანმრთელობის მდგომარეობით სპეკულირებისგან“.[38]

10 მაისს, „შესაძლო გართულებების თავიდან არიდების მიზნით“, საქართველოს მთავრობამ მიხეილ სააკაშვილს კერძო კლინიკა „ვივამედში“ გამოკვლევებისთვის გადაყვანა შესთავაზა.[39] გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, თუ ექიმები საჭიროდ მიიჩნევდნენ, მიხეილ სააკაშვილი „ვივამედში“ დარჩებოდა.[40] ის შემოთავაზებას დათანხმდა, თუმცა გარკვეული პირობები წამოაყენა.[41] იუსტიციის სამინისტრომ მესამე პრეზიდენტის პირობებს „ულტიმატუმის ტოლფასი პირობადებული თანხმობა“ უწოდა.[42] 12 მაისს პაციენტი „ვივამედში“ გადაიყვანეს.[43] 24 მაისს კლინიკამ გაავრცელა განცხადება, რომ საავადმყოფოში მოთავსების პერიოდში მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ დამძიმებულა და რეკომენდებული იყო „დინამიკაში დაკვირვება“.[44] 25 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატების მიერ დაყენებული შუამდგომლობა პაციენტთან დამოუკიდებელი გამოკვლევების ჩატარების მიზნით ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტების დაშვებასთან დაკავშირებით.[45]

აღსანიშნავია, რომ მესამე პრეზიდენტის კერძო კლინიკაში გადაყვანას წინ საერთაშორისო პარტნიორების მრავალმხრივი მოწოდებები უძღოდა. 5 მაისს საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი

---

[35] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №31, აპრილი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zrJRMf, განახლებულია: 10.06.2022.

[36] „მხარდამჭერები მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანას ითხოვენ, ხელისუფლება უარს ამბობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 7 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/489381, განახლებულია: 10.06.2022.

[37] „ბრეგაძე სააკაშვილის გადაყვანაზე: თითოეულ პატიმარს აქვს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 2 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31830484.html, განახლებულია: 10.06.2022.

[38] „პენიტენციური სამსახური: „სააკაშვილის მდგომარეობა სტაბილურია, თავი შეიკავეთ ჯანმრთელობის მდგომარეობით სპეკულირებისგან“, 2022 წლის 8 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31839583.html, განახლებულია: 10.06.2022.

[39] „მთავრობა მიხეილ სააკაშვილს შემოწმებისთვის კლინიკაში გადაყვანას სთავაზობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/489605, განახლებულია: 10.06.2022.

[40] იქვე.

[41] ოჯახის წევრების მუდმივი დაშვება, სამუშაო საათებში ადვოკატებისა და პარლამენტის წევრების დაშვება, ცენტრ „ემპათიისა“ და სახალხო დამცველის კონსილიუმის ჩართულობა მკურნალობის პროცესში.
იხ: „მიხეილ სააკაშვილი კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანაზე თანახმაა, ასახელებს პირობებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31843103.html, განახლებულია: 10.06.2022.

[42] „იუსტიციის სამინისტრო მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, ისარგებლოს შეთავაზებული სამედიცინო სერვისით „ულტიმატუმების“ გარეშე, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 11 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31844355.html, განახლებულია: 10.06.2022.

[43] „მიხეილ სააკაშვილი სამედიცინო ცენტრ „ვივამედში“ გადაიყვანეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 12 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31845802.html, განახლებულია: 10.06.2022.

[44] „კლინიკა „ვივამედი“ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაციას ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31865737.html, განახლებულია: 10.06.2022.

[45] „მოსამართლემ პენიტენციურ სამსახურს მიხეილ სააკაშვილთან ექსპერტების შეშვება დაავალა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31867190.html, განახლებულია: 10.06.2022.

დეგნანმა ხელისუფლებას მიმართა, სერიოზულად მიეღოთ სახალხო დამცველის რეკომენდაციები პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.[46] ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა აღნიშნა, რომ შეშფოთებულები იყვნენ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ მიღებული ანგარიშებით და ხაზი გაუსვა, რომ მესამე პრეზიდენტის „როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხზე“ პასუხისმგებელი სრულად სახელმწიფო იყო.[47] „ევროპის სახალხო პარტიამ“ საქართველოს მთავრობას მოუწოდა, ყოფილი პრეზიდენტი სამკურნალოდ სათანადოდ აღჭურვილ დაწესებულებაში გადაეყვანათ.[48] 6 მაისს მოლდოვის პრეზიდენტმა მაია სანდუმ ტვიტერზე დაწერა, რომ შემაშფოთებელი იყო ცნობები მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ.[49]

III. საკანონმდებლო ცვლილებები შუალედურ არჩევნებში არჩეული საკრებულოს დეპუტატის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით

4 მაისს საქართველოს პარლამენტის წევრებმა[50] დააინიციირეს ორგანული კანონების პროექტები „საქართველოს საარჩევნო კოდექსსა“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ცვლილებების შესახებ.[51] წარმოდგენილი ინიციატივის მიხედვით, საჭირო აღარ იქნებოდა საკრებულოს შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების საკრებულოს მიერ ცნობა და დეპუტატი მანდატის განხორციელებას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან მე-11 დღეს დაიწყებდა.[52]

„ქართული ოცნების“ წევრმა მიხეილ სარჯველაძემ შემოთავაზებულ ცვლილებას „ძალიან კარგი და სწორი ინიციატივა“ უწოდა,[53] თუმცა კანონპროექტი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების კრიტიკის საგანი გახდა. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთმა ლიდერმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა ანა კობახიძემ განაცხადა, რომ ცესკო არ იყო ორგანო, რომელსაც მანდატების მინიჭების საკითხი უნდა გადაეწყვიტა და მისთვის ამ „ფუნქციის“ დამატება საარჩევნო კოდექსში „ყველაზე სახიფათო ჩანაწერი“ გახდებოდა.[54] „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ-

---

[46] „მხარდამჭერები მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანას ითხოვენ, ხელისუფლება უარს ამბობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 7 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/489381, განახლებულია: 10.06.2022.

[47] „ევროკავშირის ელჩი: სააკაშვილის ჯანმრთელობის საკითხზე სრულად პასუხისმგებელია სახელმწიფო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 7 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31831990.html, განახლებულია: 10.06.2022.

[48] „EPP სააკაშვილის მდგომარეობაზე: მოვუწოდებთ „ქართულ ოცნებას“, აღიაროს სიტუაციის სიმძიმე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 6 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31837149.html, განახლებულია: 10.06.2022.

[49] Maia Sandu, Twitter post, 2022 წლის 6 მაისი, 10:07 PM, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/sandumaiamd/status/1522639246670110720?s=20&t=CHvbMX5TveTvej5unF2drw, განახლებულია: 10.06.2022.

[50] ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, რატი იონათამიშვილი, გურამ მაჭარაშვილი.

[51] კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“; კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xziHl7, განახლებულია: 10.06.2022.

[52] „შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების დაწყების თარიღი იცვლება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2022 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HeCZUq, განახლებულია: 10.06.2022.

[53] „მიხეილ სარჯველაძის შეფასებით, თუკი ბათუმის საკრებულოს გამოკლებული მაჟორიტარის სადეპუტატო უფლებამოსილებას, საკრებულოს ნაცვლად, ცესკო ცნობს, ეს ძალიან კარგი და სწორი ინიციატივა იქნება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2022 წლის 6 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xDBCLO, განახლებულია: 10.06.2022.

[54] „ანა კობახიძე - ცესკო არ არის ორგანო, რომელმაც მანდატის მინიჭების საკითხი უნდა გადაწყვიტოს, ეს ყველაზე სახიფათო ჩანაწერი იქნება კოდექსში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2022 წლის 6 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xm2fmR, განახლებულია: 10.06.2022.

მა ანა წითლიძემ აღნიშნა, რომ კანონპროექტი „ქართული ოცნების“ პარტიულ მიზნებს ემსახურებოდა და მორგებული იყო ბათუმის საკრებულოში არსებულ კრიზისულ ვითარებაზე, სადაც შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა კვორუმის არარსებობის გამო ვერ ხერხდებოდა.[55] მისი ინიციატივით, თუ მმართველ პარტიას ცვლილებების განხორციელება სურდა, სამართლიანობის პრინციპი მოითხოვდა, რომ ინიციატივა გავრცელებულიყო შუალედურ არჩევნებში პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატებზეც.[56] ამგვარად პრობლემა მოგვარდებოდა სენაკის საკრებულოშიც, სადაც კვორუმის არარსებობის გამო ვერ ხერხდებოდა პროპორციული წესით არჩეული პარტია „საქართველოსთვის“ წევრი დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა.[57]

დაინიციირებული ცვლილებების საპარლამენტო განხილვას ესწრებოდა საიაც.[58] კანონპროექტის შესახებ ორგანიზაციამ საკუთარი შეფასება გამოაქვეყნა[59] და პარლამენტს დასკვნაც წარუდგინა.[60] საიას აზრით, ინიციატივა აუარესებდა ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხს, ასუსტებდა დეცენტრალიზაციის სტანდარტს და ემსახურებოდა „ცალმხრივი პარტიული მიზნების მიღწევას“.[61] ეს ნათლად ჩანდა იმ ფაქტშიც, რომ საკანონმდებლო ინიციატივა ბათუმში არსებულ კრიზისს აგვარებდა, თუმცა უპასუხოდ ტოვებდა სენაკის საკრებულოში არსებულ ანალოგიურ ვითარებას, სადაც პროპორციული წესით არჩეული ოპოზიციონერი დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა „ქართული ოცნების“ მიერ საკრებულოს სხდომების ბოიკოტირების გამო ვერ ხერხდებოდა.[62] საიამ პარლამენტს მოუწოდა, საკრებულოებში არსებული კრიზისი გადაეჭრა „არა დისკრიმინაციული და დაუსაბუთებელი ინიციატივებით, არამედ ამომრჩეველთა ნების რეალიზაციაზე ორიენტირებული, დროებითი ანტიკრიზისული ნორმებით.“[63]

24 მაისს მეორე მოსმენით მიღებული კანონპროექტით პარლამენტმა შემოთავაზებული ანტიკრიზისული მექანიზმი პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატებზეც გაავრცელა.[64] ასევე, ცესკოსთან კონსულტაციების საფუძველზე, უფლებამოსილების ცნობის თარიღად განისაზღვრა საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან მე-14 დღე.[65] საბოლოო ცვლილებებს საპარლამენტო ოპოზიციამაც დაუჭირა მხარი.[66]

---

[55] „რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა კანონპროექტს, რომელიც საკრებულოს გამოკლებული მაჟორიტარის უფლებამოსილების, საკრებულოს ნაცვლად, ცესკოს მიერ ცნობას ითვალისწინებს, პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2022 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mGEMI5, განახლებულია: 10.06.2022.

[56] იქვე.

[57] იქვე.

[58] „საკრებულოს შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის უფლებამოსილების დაწყების ვადის განსაზღვრის წესი იცვლება“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xMWbW0, განახლებულია: 10.06.2022.

[59] „საიამ პარლამენტს წარუდგინა დასკვნა საკრებულოს შუალედურ არჩევნებში არჩეული მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების დაწყებასთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zylcV5, განახლებულია: 10.05.2022.

[60] „დასკვნა ორგანული კანონების პროექტებზე - საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NUqhfW, განახლებულია: 10.06.2022.

[61] იქვე, გვ. 1

[62] იქვე, გვ. 7.

[63] იქვე, გვ. 8.

[64] „საკრებულოს შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარის უფლებამოსილების ცნობასთან ერთად, პროპორციული წესით არჩეული ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის წესიც იცვლება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2022 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xfjy9g, განახლებულია: 10.05.2022.

[65] „საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული ორგანული კანონის პროექტში საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ცვლილებები შევა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xObiyv, განახლებულია: 10.06.2022.

[66] „საკრებულოს შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარის უფლებამოსილების ცნობასთან ერთად,

IV. საკრებულოებში თანამდებობების განაწილება

12 აპრილს ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი წევრის, რამაზ ჯინჭარაძის უფლებამოსილების ცნობა კვორუმის არარსებობის გამო ვერ ხერხდებოდა.[67] 25 მაისს „საარჩევნო კოდექსსა“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესული ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, ჯინჭარაძის უფლებამოსილების ცნობა არა საკრებულოს სხდომის, არამედ ცესკოს შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე მოხდა.[68] 30 მაისის სხდომაზე რამაზ ჯინჭარაძე ასევე აირჩიეს ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარედ.[69] სხდომას ბოიკოტი გამოუცხადეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.[70] ამავე სხდომაზე საკრებულოს დატოვების გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა პარტია „ლელოდან“ არჩეულმა ერთადერთმა დეპუტატმა ირაკლი კუპრაძემ.[71] მან აღნიშნა, რომ საკრებულოში საკუთარ როლს ვეღარ ხედავდა, რადგან „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებულმა „სამარცხვინო არჩევნებმა“ საკრებულოში დემოკრატიული პროცესები დააზიანა.[72]

მაისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომი კრიზისი კვლავ გაგრძელდა სენაკის საკრებულოში.[73] თებერვალში პროცედურული დავის ფონზე არჩეული თავმჯდომარის უფლებამოსილება სენაკის რაიონულმა სასამართლომ „ქართული ოცნების“ სარჩელის საფუძველზე შეაჩერა.[74] საკრებულოში ახალი თავმჯდომარე მაისშიც არ აურჩევიათ.[75]

ამასთანავე, 30 მაისს სენაკის საკრებულოს წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ ვახტანგ წურწუმიამ საკრებულოს პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით მიმართა.[76] სენაკის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე ლაშა კუჭავამ ამავე დღეს განაცხადა, რომ წურწუმია დაიკარგა და მას დილიდან ვერ პოულობდნენ.[77] მისი თქმით, დიდი ხანია, დეპუტატზე „ქართული ოცნების“ მხრიდან ზეწოლა და დაშინება ხორციელდებოდა.[78]

სენაკში საკრებულოს უკანასკნელი უფლებამოსილი სხდომა 17 დეკემბერს გაიმართა,[79] რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ 17 ივნისამდე ახალი სხდომა არ ჩატარდება, შესაძლოა, საკრებულოს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდეს და სენაკი პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას დაექვემდება-

---

პროპორციული წესით არჩეული ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის წესიც იცვლება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xfjy9g, განახლებულია: 10.05.2022.

[67] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №31, აპრილი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, გვ. 3, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zrJRMf, განახლებულია: 10.06.2022.

[68] „ბათუმის საკრებულომ 6 თვის შემდეგ შეძლო თავმჯდომარედ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის არჩევა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31874811.html, განახლებულია: 10.06.2022.

[69] იქვე.

[70] იქვე.

[71] იქვე.

[72] იქვე.

[73] ნინო კაპანაძე, „უმცირესობა უმრავლესობაში: პროცედურული ომი და არჩევნების შემდგომი კრიზისი საკრებულოებში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2022, გვ. 79, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tPRR6f, განახლებულია: 10.06.2022.

[74] იქვე.

[75] იქვე.

[76] „სენაკის საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ვახტანგ წურწუმია საკრებულოს ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HpD4ES, განახლებულია: 10.06.2022.

[77] იქვე.

[78] იქვე.

[79] ნინო კაპანაძე, „უმცირესობა უმრავლესობაში: პროცედურული ომი და არჩევნების შემდგომი კრიზისი საკრებულოებში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2022, გვ. 79, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tPRR6f, განახლებულია: 10.06.2022.

როს. კონკრეტულად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 142-ე და 143-ე მუხლების თანახმად, თუ საკრებულო ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ შეიკრიბება, ეს შეიძლება მთავრობის მიერ პირდაპირი მმართველობის შემოღების საფუძველი გახდეს.

V. საქართველოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე: კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული მოლოდინები

2 მაისს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს ევროკავშირის თვითშეფასების კითხვარის პირველი ნაწილი გადასცა.[80] 10 მაისს საქართველომ მისი მეორე ნაწილიც წარადგინა.[81] ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებას კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით საქართველო, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს მიიღებს.[82]

კითხვარის შევსების პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების პერსპექტივების შესახებ განსხვავებული განცხადებები გაკეთდა. პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა 25 მაისს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა, რომ 2014 წლიდან საქართველო ამბიციურ რეფორმებს ატარებდა.[83] ახლა კი ქვეყანა, მსოფლიოში მომხდარი ცვლილებების ფონზე, ევროკავშირისგან მოელოდა „სიცხადეს და რელევანტურ, ადეკვატურ რეაგირებას“.[84]

30 მაისს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების 45% უკვე შესრულებული ჰქონდა, ყველა პარამეტრით უსწრებდა არა მხოლოდ უკრაინასა და მოლდოვას, არამედ კანდიდატის სტატუსის მქონე ზოგიერთ ქვეყანასაც კი, შესაბამისად, გაუგებარი იყო, რატომ უნდა ეთქვა უარი ევროკავშირს კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე.[85]

25 მაისს საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა და დამოუკიდებელმა დეპუტატებმა ევროკავშირს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თხოვნით მიმართეს.[86] ერთობლივ მიმართვაში მათ აღნიშნეს, რომ ქართველ ხალხს „ხელისუფლების არასწორი ნაბიჯების გამო ესოდენ მაღალი ფასი“ არ უნდა გადაეხადა.[87] ერთადერთი ოპოზიციური საპარლამენტო პარტია, რომელიც განცხადებას არ შეუერთდა, „ევროპელი სოციალისტები“ იყვნენ.[88]

30 მაისს კარლ ჰარცელმა განაცხადა, რომ „საქართველოს შეეძლო, უკეთ მომზადებულიყო ამ ისტორიული მომენტისთვის“, რადგან „რეფორმების სიჩქარე შენელდა“ და ევროკავშირი სულ

---

[80] Irakli Garibashvili, Twitter post, 2022 წლის 2 მაისი, 3:38 PM, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NGJNwo, განახლებულია: 10.06.2022.

[81] Carl Herrzell, Twitter post, 2022 წლის 10 მაისი, 3:12 PM, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39iV0UU, განახლებულია: 10.06.2022.

[82] „საქართველომ ევროკავშირს გადასცა შევსებული კითხვარის მეორე ნაწილი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31842804.html, განახლებულია: 10.06.2022.

[83] „ღარიბაშვილი: ევროკავშირისგან გვჭირდება ადეკვატური რეაგირება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31867112.html, განახლებულია: 10.06.2022.

[84] იქვე.

[85] „კობახიძე: ევროკავშირს საქართველოსთვის კანდიდატობაზე უარის თქმის არავითარი მიზეზი არ აქვს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31874799.html, განახლებულია: 10.06.2022.

[86] „ოპოზიციამ ევროკავშირს კანდიდატის სტატუსის მინიჭების თხოვნით მიმართა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 26 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/492610, განახლებულია: 10.06.2022.

[87] იქვე.

[88] იქვე.

უფრო შეშფოთებული იყო „ქვეყნის ამჟამინდელი ტრაექტორიით“.[89] მან ასევე დაამატა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ევროკავშირის საბჭო კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, საქართველო უნდა შესდგომოდა მუშაობას „ევროკავშირისკენ სტაბილური წინსვლის მიმართულებით“.[90]

მანამდე, 12 მაისს, საიას მიერ ორგანიზებულ ონლაინ პანელურ დისკუსიაზე[91] ევროკომისიის სამეზობლო და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის განყოფილების უფროსის მოადგილემ ნიკოლას სენდროვიჩმა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის საკითხი და პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი დონე ევროკავშირის წევრობის განაცხადის განხილვის პროცესში საქართველოს მთავარ გამოწვევებად დაასახელა.[92] იმავდროულად, მან მიუთითა საქართველოს ძლიერ მხარეებზეც, როგორებიცაა: ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, კარგად ფუნქციონირებადი საჯარო მმართველობა და ევროკავშირის ეკონომიკასთან „დიდწილად თანხვედრაში“ მყოფი ეკონომიკა.[93]

20 მაისს ბრიუსელში მდებარე ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრის (CEPS) მიერ გამოქვეყნებული სტატიის[94] მიხედვით, საქართველო, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, მზად არ იყო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად. ამის მიზეზებად დასახელდა პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრირება არარჩეული ლიდერის ხელში, ასევე ზეწოლა ოპოზიციონერ პოლიტიკოსებსა და მედიის წარმომადგენლებზე.[95] პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სტატიაზე განაცხადა, რომ არ აინტერესებდა, ვინ რა „დაჯღაბნა“,[96] ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის თქმით, სტატია „დაუდევრად“ იყო შედგენილი.[97]

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა განაცხადა, რომ, როცა საქართველო დემოკრატიზაციის გზას დაუბრუნდებოდა, მას ევროპულ ოჯახში მიესალმებოდნენ.[98]

VI. ასოცირების დღის წესრიგი 2021–2027 წლებისთვის

23 მაისს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგის დოკუმენტი უკვე შეთანხმებული და გასაჯაროებული იყო და

[89] „ევროკავშირის ელჩი: „საქართველოს შეეძლო, უკეთ მომზადებულიყო ამ ისტორიული მომენტისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31874956.html, განახლებულია: 10.06.2022.

[90] „ჰარცელი: მნიშვნელობა არ აქვს, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკომისია წევრობის სტატუსზე, დროა საქართველო შეუდგეს მუშაობას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31874812.html, განახლებულია: 10.06.2022.

[91] „გზა ევროკავშირისკენ: რა ეტაპზეა საქართველო?“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის Facebook-გვერდი, 2022 წლის 12 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aIMhM3, განახლებულია: 10.06.2022.

[92] „ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოს ძლიერ და სუსტ მხარეებზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/490177, განახლებულია: 10.06.2022.

[93] იქვე.

[94] „Georgia`s dubious application for EU membership“, Centre for European Policy Studies, 2022 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.ceps.eu/georgias-dubious-application-for-eu-membership/, განახლებულია: 10.06.2020.

[95] იქვე.

[96] „პრემიერი ამბობს, რომ არ აინტერესებს ევროპული კვლევითი ცენტრის ნაჯღაბნი“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 23 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/491769, განახლებულია: 10.05.2022.

[97] „შალვა პაპუაშვილი: CEPS-ის ავტორების სტატიაში უზუსტობებია და დაუდევრადაა შედგენილი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31865132.html, განახლებულია: 10.06.2022.

[98] „კრამონი: როცა დემოკრატიზაციის გზაზე დაბრუნდებით, თქვენი ღირებულებებით ევროპულ ოჯახში მოგესალმებით“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 26 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31869627.html, განახლებულია: 10.06.2022.

საბოლოო დამტკიცებას ელოდებოდა.[99] დოკუმენტი 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგს ეფუძნებოდა და მიზნად ისახავდა საქართველოს ინტეგრაციას, დაახლოებას ევროკავშირის სტრუქტურებსა და კანონმდებლობასთან.[100]

დღის წესრიგში მთავარ ამოცანად დასახელდა ამბიციური რეფორმების გატარება დემოკრატიის და კანონის უზენაესობის მიმართულებით.[101] ასევე განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები: გამჭვირვალე, ინკლუზიური, სანდო არჩევნების ჩატარება და ამ მიმართულებით ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესრულება, მართლმსაჯულების სფეროში მესამე და მეოთხე ტალღის რეფორმების განხორციელება, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ჩამოყალიბება, მედიის თავისუფლების მხარდაჭერა და სხვა.[102]

[99] European Union in Georgia, Facebook-გვერდი, 2022 წლის 23 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tt3uQa, განახლებულია: 10.06.2022.

[100] „ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგი „ამბიციური“ რეფორმების“ საჭიროებას უსვამს ხაზს“, საინფორმაციო პორტალი “Civil.ge”, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/492119, განახლებულია: 10.06.2022.

[101] „Proposal for a COUNCIL DECISION on the position to be taken on behalf of the European Union in the Association Council established under the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, on the adoption of the EU-Georgia Association Agenda“, Access to the European Law, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MDRB0z, განახლებულია: 10.06.2022.

[102] იქვე.